დანართი #1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დიზაინის საერთაშორისო სკოლის
აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად
გამოსაცხადებელი კონკურსის პირობები და ვაკანსიები საგანთა ჯგუფების შესაბამისად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) აცხადებს ღია კონკურსს 4 წლის ვადით აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) დასაკავებლად.

I. განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაცია (მათ შორის საკონკურსო ადგილების რაოდენობა სწავლების ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების საგანთა ჯგუფების მიხედვით და სხვ.) გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge. განცხადებების მიღება იწარმოებს 2018 წლის 26 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით, 10^{00}-დან 17^{00} საათამდე (მის.: კოსტავას ქ. № 77, მე-8 სასწავლო კორპუსი, II სართული, ოთახი #3, ტელ.: 599 55 12 16);
2. კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 2 ივლისიდან 6 ივლისის ჩათვლით. კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2018 წლის 6 ივლისისა საკონკურსო კომისიის მიერ თვალსაჩინო ადგილზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge;
3. კონკურსის ჩატარების წესის დარღვევასთან დაკავშირებით განცხადებები/საჩივრები საკონკურსო კომისიაში მიიღება 2018 წლის 10 ივლისის ჩათვლით;
4. კონკურსის შედეგების დამტკიცება აკადემიურ საბჭოში მოხდება არაუგვიანეს 2018 წლის 20 ივლისისა. კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება აკადემიური საბჭოს მიერ შედეგების დამტკიცებითანავე უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge;
5. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება 2018-2019 სასწავლო წლიდან.

II. საკონკურსო პირობები

1. კონკურსის ძირითადი პირობები:
   ა) პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, ან პროფესიული გამოცდილების მქონე პირი, რომლის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს: პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან პუბლიკაციებით ან პრაქტიკაში განხორციელებული არანაკლებ 6: პროექტის ავტორობით ან კუნკურსში (მათ შორის საერთაშორისო) მონაწილე პროექტის ავტორობით, ან პერსონალური გამოფენით;
   ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება ან პროფესიული გამოცდილების მქონე პირი, რომლის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს : პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან პუბლიკაციებით ან პრაქტიკაში განხორციელებული არანაკლებ 6: პროექტის ავტორობით ან კუნკურსში (მათ შორის საერთაშორისო) მონაწილე პროექტის ავტორობით, ან პერსონალური გამოფენით;
   გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან პროფესიული გამოცდილების მქონე პირი, რომლის კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს: პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან

პუბლიკაციებით ან პრაქტიკაში განხორციელებული პროექტის ავტორობით ან კუნკურსში (მათ შორის საერთაშორისო) მონაწილე პროექტის ავტორობით, ან პერსონალური გამოფენით;
დ) ასისტენტად შეიძლება არჩეულ იქნას დოქტორანტი.

2. ყველა საკონკურსო პოზიციაზე კონკურსანტს მოეთხოვება ინგლისური ენის თავისუფალი ცოდნა, ინგლისური ენის სასაუბრო სიტყვათა და სპეციალური ტერმინოლოგიის სათანადო მარაგი, კომუნიკაციის გამოკვეთილი უნარი.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირადად (ან წარმომადგენლის მეშვეობით) უნდა წარმოადგინოს:
ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები იხ. სტუ-ს ვებგვერდზე), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი და ასლი);
ბ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
გ) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები) დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით;
დ) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების ნუსხა, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (დამოწმება ასევე შესაძლებელია უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და აკადემიური დეპარტამენტის/ ფაკულტეტის ბეჭდით);
ე) შესრულებული ან კონკურსში მონაწილე პროექტის ავტორობის /გამოფენის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ვ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);
ზ) 2 ფოტოსურათი, 3X4.

III. მონაწილეთა შეზღუდვა

1. კონკურსში არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით;
2. აკადემიური საბჭო ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით (2/3-ით), ფარული კენჭისყრით, ინდივიდუალურად წყვეტს 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის საკითხს. აღნიშნული ასაკის მქონე პირმა შესაბამის საკონკურსო კომისიაში დამატებით უნდა წარადგინოს აკადემიური საბჭოს თანხმობა. ამ მიზნით მან განცხადება უნდა შეიტანოს უნივერსიტეტის კანცელარიაში წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან 2018 წლის 25 ივნისის ჩათვლით. პირის დასწრება აკადემიურ საბჭოში მისი საკითხის განხილვისას სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული საკითხი არ განიხილება;
3. პირი, რომელიც მუშაობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სტუ-ში გაიმარჯვებს კონკურსში, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებამდე სტუ-თან უნდა გააფორმოს აფილირების ხელშეკრულება.

IV. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსი ჩატარდება "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და "აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, რომლებსაც კონკურსანტი გაეცნობა საკონკურსო კომისიებში და უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
2. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული, სასწავლო-მეთოდური და პედაგოგიური საქმიანობა; სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები, გამოცდილება და დამსახურება; ასევე (კომისიის გადაწყვეტილებით) კონკურსანტის მიერ

ჩატარებული ლექციის ან/და საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

3. კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

საგნობრივი ჯგუფები:

საკონკურსო თანამდებობა	ვაკანსია (სათი)	საგანთა ჯგუფი/საკონკურსო საგნები საგნები სწავლების საფეხურების მიხედვით		საგამანათლებლო პროგრამა
		N		
პროფესორი	2(200)	1	**ბაკალავრიატი**	დიზაინი
			საბაზისო სასწავლო კურსები კულტურასა და სოციალურ მეცნიერებებში	
			ხელოვნება დროში	
			ფილოსოფია	
			კულტურული მიდგომები დიზაინისადმი	
			სოციალურ მეცნიერებათა პრინციპები	
			ქალაქი და უსაფრთხოება	
ასისტენტ პროფესორი	1(200)	2	**ბაკალავრიატი**	დიზაინი
			დიზაინის სპეციალობის დასაუფლებელი გრაფიკული ინსტრუმენტები	
			ხატვა	
			სწრაფი ვიზუალიზაცია	
ასოცირებული პროფესორი	1(400)	3	**ბაკალავრიატი**	დიზაინი
			დიზაინის სპეციალობის დასაუფლებელი კომპიუტერული ინსტრუმენტები	
			CAD სტუდია	
			3D ვიზუალიზაცია	
			3D ვიზუალიზაცია ინტერიერისა და პროდუქტის დიზაინსთვის	
			გაფართოებული CAD სტუდია	
ასისტენტი	1(200)	4	**ბაკალავრიატი**	დიზაინი
			დიზაინის მართვის სპეციალობები	
			მარკეტინგის საფუძვლები	
			პორტფოლიო და პრეზენტაციის უნარები	
			მეწარმეობა	
			მაგისტრატურა	
			ინოვაციური დიზაინის მენეჯმენტი (მაგისტრატურა)	
			გამოყენებითი უნარები: პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება (მაგისტრატურა)	
პროფესორი	1(200)	5	**ბაკალავრიატი**	დიზაინი
			დიზაინის სპეციალობის საფუძვლები და განსაკუთრებული უნარები	
			გრაფიკის და ტიპოგრაფიკის სტუდია	
			დიზაინ სტუდია 1	
			დიზაინ სტუდია 2	
			მაგისტრატურა	
			დიზაინ პრეზენტაცია(მაგისტრატურა)	
			გაღრმავებული დიზაინ	

			პრეზენტაცია(მაგისტრატურა)	
			ბაკალავრიატი	
			დიზაინის სპეციალობის სასწავლო კურსები	
პროფესორი	1(400)		ინტერიერის სტუდია 1	
			პროდუქტის სტუდია 1	
			ტრანსპორტის სტუდია 1	
			ვიზუალური კომუნიკაციის სტუდია 1	
პროფესორი	1(200)		ინტერიერის სტუდია 2	
			პროდუქტის სტუდია 2	
			ტრანსპორტის სტუდია 2	
			ვიზუალური კომუნიკაციის სტუდია 2	
			ინტერიერის სტუდია 3	
			პროდუქტის სტუდია 3	
ასოცირებული პროფესორი	1(400)	**6**	ტრანსპორტის სტუდია 3	დიზაინი
			ვიზუალური კომუნიკაციის 3	
			ინტერიერის სტუდია სტუდია 4	
			პროდუქტის სტუდია 4	
			ტრანსპორტის სტუდია 4	
			ვიზუალური კომუნიკაციის სტუდია 4	
			შესავალი ერგონიმიკაში	
			ერგონომიკა დიზაინისთვის	
			ერგონომიკის მეთოდოლოგია	
ასოცირებული პროფესორი	1(200)		**მაგისტრატურა**	
			ინოვაციური დიზაინის სტუდია(მაგისტრატურა)	
			დიზაინ CAD სტუდია(მაგისტრატურა)	
			მომხ.ორიენ.სტუდია(მაგისტრატურა)	
			გაღრმავებული CAD სტუდია (მაგისტრატურა)	
			ბაკალავრიატი	
			დიზაინი ციფრულ ტექნოლოგიებში	
პროფესორი	1(200)	**7**	ვებ-დიზაინი და პროგრამირება	დიზაინი
			მობილური აპლიკაცია	
			შესავალი კომპიუტერულ პროგრამირებაში	
			თამაშების დიზაინი	